ოქმი N1

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

ქ. ხობი

2018 წლის 12 იანვარი

ბიუროს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 10

ბიუროს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 10

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

1. ედიშერი ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. თეა გელანტია
4. დავით ბერაია
5. დოდო გაბუნია
6. ტარიელ ალექსანდრია
7. ვლადიმერ ქანთარია
8. ბექა მამაცაშვილი
9. თენგიზ აბაკელია
10. მერაბ ფილიპია

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა – საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგის გაცნობამდე სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს მიულოცა შობა-ახალი წელი და უსურვა მათ წარმატებები, როგორც პირად, ასევე სამსახურეობრივ საქმიანობაში

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დ. ცინაძის 2017 წლის 26 დეკემბრის N619 განცხადების განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა და საფინანსო - სარევიზიო კომისიებში გაწევრიანების თაობაზე);

(მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის თ. გულუას 2018 წლის 4 იანვრის N29 განცხადების განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შექმნის თაობაზე);

(მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

3. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის ბ. მამაცაშვილის 2018 წლის 8 იანვრის N3/09 განცხადების განხილვა (ფრაქციის წესდებაში ცვლილების თაობაზე);

(მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

4. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების“ თავმჯდომარის თ. აბაკელიას 2018 წლის 9 იანვრის N4/01 განცხადების განხილვა (ფრაქციის წესდებაში ცვლილების თაობაზე);

(მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

5. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველების“ თავმჯდომარის მ. ფილიპიას 2018 წლის 9 იანვრის N5/01 განცხადების განხილვა (ფრაქციის წესდებაში ცვლილების თაობაზე);

(მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

6. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 9 იანვრის N03/65 წერილის განხილვა („საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

7. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დ. ბერაიას 2018 წლის 10 იანვრის N6/08 განცხადების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის №59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: დ. ბერაია - იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

8. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ტ. ალექსანდრიას 2018 წლის 11 იანვრის N7/01 განცხადების განხილვა („საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

9. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ტ. ალექსანდრიას 2018 წლის 11 იანვრის N8/01 განცხადების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დ. ცინაძის 2017 წლის 26 დეკემბრის N619 განცხადების განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა და საფინანსო - სარევიზიო კომისიებში გაწევრიანების თაობაზე);

(მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: თ. გელანტია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დ. ცინაძის განცხადება, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა და საფინანსო - სარევიზიო კომისიებში გაწევრიანების თაობაზე და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საკრებულოში შემოვიდა საკრებულოს წევრის დავითი ცინაძის განცხადება საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა და საფინანსო - სარევიზიო კომისიებში გაწევრიანების თაობაზე, კომისიის მიერ განხილულ იქნა წარმოდგენილი განცხადება და იქიდან გამომდინარე, რომ ზემო აღნიშნულ კომისიებს 2018 წლის 1 იანვრიდან სახელწოდებები შეეცვალა მომზადდა განკარგულებების პროექტები „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N78 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N76 განკარგულებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე", რომლის თანახმადაც დ. ცინაძე შეყვანილ იქნა მის მიერ მოთხოვნილი კომისიების შემადგენლობაში. გამომსვლელის განცხადებით, პროექტები მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მათი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტების საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტები შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის თ. გულუას 2018 წლის 4 იანვრის N29 განცხადების განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" შექმნის თაობაზე);

(მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: თ. გელანტია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის განცხადება, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" შექმნის თაობაზე და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრთა ჯგუფის მიერ შეიქმნა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", თემურ გულუას, ია ჯიშკარიანის და ირაკლი ნადარაიას შემადგენლობით, ფრაქციის თავმჯდომარედ არჩეულია თემურ გულუა, ხოლო ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილედ ია ჯიშკარიანი. ფრაქციის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ იქნა კანონმდებლობით გათვალისწინებული ფრაქციის სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. გამომსვლელის განცხადებით, კომისიის მიერ შესწავლილ იქნა ფრაქციის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიაჩნია, რომ აღნიშნული დოკუმენტაცია აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და მიზანშეწონილად მიაჩნია მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება მისი რეგისტრაციის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" რეგისტრაციისა და წარმოდგენილი საკითხის ცნობის სახით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: რეგისტრირებულ იქნეს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" და წარმოდგენილი საკითხი ცნობის სახით შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

3. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის ბ. მამაცაშვილის 2018 წლის 8 იანვრის N3/09 განცხადების განხილვა (ფრაქციის წესდებაში ცვლილების თაობაზე);

(მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: თ. გელანტია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის განცხადება, ფრაქციის წესდებაში ცვლილების თაობაზე და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან და დღის წესრიგით წარმოდგენილ მე-4 და მე-5 საკითხებთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" განხორციელებული ცვლილების თანახმად საკრებულოს თანამდებობის პირების ჩამონათვალს დაემატა ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა. აღნიშნული ცვლილების თანახმად ფრაქციის თავმჯდომარეს ჰყავს ერთი მოადგილე, ხოლო ფრაქციაში ცხრა ან ცხრაზე მეტი წევრის არსებობის შემთხვევაში ფრაქციის თავმჯდომარე უფლებამოსილია ჰყავდეს დამატებით კიდევ ერთი მოადგილე, მაგრამ არაუმეტეს ორი მოადგილისა. კანონში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით საკრებულოს ფრაქციების მიერ შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა ფრაქციის წესდებებში და არჩეულ იქნა ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეები, კერძოდ: ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეულია გოჩა ჯობავა და დავითი ცინაძე; ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების" თავმჯდომარის მოადგილედ აბელი ქირია, ხოლო ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველების"

თავმჯდომარის მოადგილედ გოჩა სიჭინავა. კომისიის მიერ ფრაქციის თავმჯდომარეების მიერ წარმოდგენილი განცხადებების საფუძველზე მომზადდა განკარგულების პროექტები: „ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" შექმნის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის N48 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", „ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების" რეგისტრაციის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N68 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და „ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველების" რეგისტრაციის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N69 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". გამომსვლელის განცხადებით, კომისიის მიერ მომზადებული სამართლებრივი აქტები აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და მიზანშეწონილად მიაჩნია მათი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

4. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების" თავმჯდომარის თ. აბაკელიას 2018 წლის 9 იანვრის N4/01 განცხადების განხილვა (ფრაქციის წესდებაში ცვლილების თაობაზე);

(მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: **თ. გელანტია** - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების" თავმჯდომარის განცხადება, ფრაქციის წესდებაში ცვლილების თაობაზე (ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

5. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველების" თავმჯდომარის მ. ფილიპიას 2018 წლის 9 იანვრის N5/01 განცხადების განხილვა (ფრაქციის წესდებაში ცვლილების თაობაზე);

(მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: თ. გელანტია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველების" თავმჯდომარის განცხადება, ფრაქციის წესდებაში ცვლილების თაობაზე

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

6. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 9 იანვრის N03/65 წერილის განხილვა („საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ტ. ალექსანდრია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და კომისიის ერთიანი დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან და დღის წესრიგით მე-8 საკითხად წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ „საწვავისა და სატელეფონო

მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N81 განკარგულებით, საკრებულოს თანამდებობის პირებისთვის და საკრებულოს აპარატის პირველადი და მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებისა და საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწისთვის განისაზღვრა ფიჭური სატელეფონო მომსახურების (კორპორაციული საავანსო ნომრების) ხარჯების ლიმიტი, ასევე განისაზღვრა საკრებულოს თანამდებობის პირების და აპარატის საჯარო მოხელეების სარგებლობაში არსებული ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ხარჯებიც. კომისიის მიერ დამატებით განხილულ იქნა ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ლიმიტები და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული აღნიშნული ლიმიტების შემცირება და მის ხარჯზე საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთათვის, როგორც შტატით გათვალისწინებული, ასევე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისთვის თვეში 5 ლარის ოდენობით ფიჭური სატელეფონო მომსახურების ლიმიტის დადგენა, რაც საერთო ჯამში არ იწვევს დამატებითი თანხების მოძიებას და არსებული ლიმიტების ფარგლებში იქნება გადანაწილებული. მერიის მიერ წარმოდგენილ ცვლილების პროექტით ცვლილება შედის ხობის მუნიციპალიტეტის მერიისთვის განსაზღვრულ საწვავის ლიმიტებში, კერძოდ ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებისთვის, სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყოფილია საწვავი (ბენზინი) 50-50 ლიტრის ოდენობით, მერიის განმარტებით საანგარიშო წლის დასაწყისში მონაცემთა განახლების პროცესში დადგინდა, რომ ბიის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის ავტოსატრანსპორტო საშუალება მოიხმარს დიზელის საწვავს, რისი გათვალისწინებითაც იქმნება საჭიროება მერის წარმომადგენლებისთვის განსაზღვრულ ლიმიტში განხორციელდეს ცვლილება და მასში დაფიქსირდეს დიზელის საწვავი. ამასთან, ერთი კატეგორიისთვის მიკუთვნებულ გრაფაში საწვავის სხვადასხვა სახეობის მითითების პირობებში საჭირო შეიქნა განკარგულების №2 დანართით განსაზღვრულ ცხრილს დამატებოდა 1 სვეტი, მომხმარებელთა რაოდენობის მითითებით, რისი მეშვეობითაც ერთი კატეგორიის ფარგლებში საწვავის სხვადასხვა სახეობა დიფერენცირებულია მომხმარებელთა რაოდენობის მიხედვით. გამომსვლელის განცხადებით, მერიისა და საკრებულოს კომისიის მიერ ერთიდაიმავე განკარგულების სხვადასხვა დანართში ხორციელდება ცვლილება, კომისიის მიერ მიზანშეწონილად იქნა ჩათვლილი ცვლილებების პროექტის გაერთიანება და შესაბამის განკარგულებაში ერთიანი ცვლილების ასახვა. კომისიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა

გათვალისწინებით და მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

7. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის დ. ბერაიას 2018 წლის 10 იანვრის N6/08 განცხადების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის №59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: დ. ბერაია - იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: დ. ბერაია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის №59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განხორციელებული ცვლილების თანახმად საკრებულოს თანამდებობის პირების ჩამონათვალს დაემატა ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა. აღნიშნული ცვლილების თანახმად ფრაქციის თავმჯდომარეს ჰყავს ერთი მოადგილე, ხოლო ფრაქციაში ცხრა ან ცხრაზე მეტი წევრის არსებობის შემთხვევაში ფრაქციის თავმჯდომარე უფლებამოსილია ჰყავდეს დამატებით კიდევ ერთი მოადგილე, მაგრამ არაუმეტეს ორი მოადგილისა. კანონში განხორციელებული ამ ცვლილებების გათვალისწინებით კომისიის მიერ მომზადდა საკრებულოს რეგლამენტში წარმოდგენილი ცვლილების პროექტი. გამომსვლელის განცხადებით, კომისიის მიერ მომზადებული დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და მიზანშეწონილად მიაჩნია მისი

წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

8. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ტ. ალექსანდრიას 2018 წლის 11 იანვრის N7/01 განცხადების განხილვა („საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ტ. ალექსანდრია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" (ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

9. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ტ. ალექსანდრიას 2018 წლის 11 იანვრის N8/01 განცხადების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის

პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ტ. ალექსანდრია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" განხორციელებული ცვლილების თანახმად საკრებულოს თანამდებობის პირების ჩამონათვალს დაემატა ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა, წარმოდგენილი დადგენილების პროექტით ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილისთვის განისაზღვრა თანამდებობრივი სარგო 1200 ლარის ოდენობით, აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". გამომსვლელის განცხადებით, კომისიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა